განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა.) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს 1998 წელს მიღებული კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ", რომელიც ბოლომდე არ ასახავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს. აგრეთვე, კანონს აკლია სიცხადე, იგი არაამომწურავად არეგულირებს ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს, რაც აფერხებს აღნიშნული ბაზრის განვითარებას, შესაბამისი სუბიექტების მიერ კერძო ნებაყოფლობითი საქმიანობის განხორციელებას და იწვევს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის უმოქმედობას, რაც მოქალაქეებს ართმევს შესაძლებლობას გაწევრიანდნენ კერძო ნებაყოფლობით საპენსიო სქემებში, რომლებიც წარმოადგენენ გრძელვადიანი დანაზოგებისა და ინვესტიციების განხორციელების ერთ-ერთ ეფექტურ და მნიშვნელოვან საშუალებას.

ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ" შეთანხმების (შემდგომში – ასოცირების შეთანხმება) XV-A დანართის B ნაწილით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს 2003 წლის 3 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/41/EC დირექტივას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ ხსენებული დირექტივა ძალადაკარგულია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ 2016 წლის 14 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/2341 (IORPs II) დირექტივით და ამასთანავე, საქართველოს აღებული აქვს დინამიური დაახლოების შესახებ ვალდებულება, წარმოდგენილი კანონპროექტი შემუშავებულია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ 2016 წლის 14 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/2341 (IORPs II) დირექტივის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ არსებული კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" ფაქტობრივად არის უმოქმედო, რადგან ის არ ასახავს საერთაშორისოდ აღიარებულ იმ პრინციპებს, რომლებიც აუცილებელია კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, აღნიშნული კი მოიაზრებს, როგორც კერძო საპენსიო სქემების მონაწილეთათვის შესაბამისი წამახალისებელი მექანიზმების გაჩენასა და ეფექტური საზედამხედველო ჩარჩოს დაწესებას, ისე კერძო

დაგროვებითი საპენსიო საქმიანობის მოქნილ და ეფექტურ სტრუქტურას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველა მოქალაქეს (დამსაქმებლებს, დასაქმებულებსა და ნებისმიერ სხვა პირს) საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაწევრიანდნენ კერძო საპენსიო სქემებში. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კანონის პროექტი ხელს შეუწყობს ასევე სადაზღვევო და აქტივების მმართველი კომპანიების სექტორის განვითარებას, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა ჩაერთონ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობაში, აღნიშნული კი ემსახურება ხსენებულ ბაზრებზე კონკურენციის გაზრდას.

2018 წლის 21 ივლისს „დაგროვებითი პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დემოგრაფიული მდგომარეობის შედეგად შექმნილი გამოწვევების გამკლავებისათვის, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული საპენსიო სისტემის შემდგომი განვითარება და დამატებითი შესაძლებლობის გაჩენა, რომელიც კიდევ უფრო ეფექტურად გაუმკლავდება არსებულ დემოგრაფიულ გამოწვევებს. აღნიშნული კანონპროექტის მიღება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მოქალაქეებს შექმნას დამატებითი დანაზოგი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამომუშავებული ხელფასის და საშულებას მისცემს მათ მიიღონ კიდევ უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ასევე, ნებაყოფლობითი დანაზოგების სისტემა პირს საშუალებას აძლევს უკეთ დაგეგმოს მომავალი და სამომავლოდაც შეინარჩუნონ ადეკვატური ცხოვრების დონე.

გრძელვადიან პერიოდში, კერძო ნებაყოფლობითი პენსია, სოციალურ და დაგროვებით პენსიასთან ერთად მნიშვნელოვნად გაზრდის პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს და გააუმჯობესებს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. ამასთან უნდა აღინიშოს, რომ ქვეყანაში გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირება, წარმოადგენს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების შესაძლებლობას, რადგან აკუმულირებული თანხების ინვესტირება შესაძლებელი იქნება ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე. აღნიშნული კი მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით შემუშავდა კანონპროექტი, რომლის მიზანია საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის განვითარება, აღნიშნულ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება და მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვა.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არსებული კანონმდებლობის ფუნდამენტური ცვლილება, რათა სამართლებრივი ჩარჩო შეესაბამებოდეს ამ კუთხით აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას, იყოს გამჭვირვალე და ეფექტური ევროკავშირში მოქმედ შესაბამის დირექტივებზე დაყრდნობით, მომზადდა ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ ახალი კანონპროექტი.

კანონპროექტის მიღების გარეშე, საქართველო ვერ შეძლებს სრულად შეასრულოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, დაუახლოვოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ დირექტივას საკუთარი კანონმდებლობა.

კანონპროექტი უზრუნველყოფს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის ეფექტურობას, მოქნილობას და გამჭვირვალობას. კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან მასტიმულიზირებელ მექანიზმებს და საპენსიო სქემების მონაწილეთა ინტერესების დაცვის იმგვარ გარანტიებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის განვითარება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, დაიხვეწება ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა და იგი დაუახლოვდება ევროკავშირში მოქმედ პრინციპებსა და ჩარჩოს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობის პირობებში, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზარი უფრო მიმზიდველი და სანდო გახდება საქართველოს მოქალაქეებისათვის.

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს სადაზღვევო სექტორისა და აქტივების მმართველი კომპანიების ბაზრის განვითარებას, რადგან მათ გაუჩნდებათ დამატებითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული ბაზრების განვითარება კი თავის მხრივ გაზრდის კონკურენციას, რაც საბოლოოდ აისახება ქვეყანაში ეფექტური ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის ამოქმედებასა და დანერგვაში.

კანონპროექტის მიღებით, შესაძლებლობა მიეცემა საქართველოს ყველა მოქალაქეს გაწევრიანდეს ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებში ან თავად დააფუძნონ ის. ამგვარი უფლება ენიჭება სუბიექტთა ფართო სპექტრს მათ შორის, დამსაქმებლებს, დამსაქმებელთა გაერთიანებებს, დასაქმებულთა გაერთიანებებს, პროფესიულ ორგანიზაციებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამგვარი უფლება ენიჭება ნებისმიერ პირს გაწევრიანდნენ ინდივიდუალურ საპენსიო სქემებში, დასაქმებისაგან დამოუკიდებლად. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონპროექტი იძლევა საშულუალებას რამდენიმე საპენსიო სქემაში გაწევრიანების. აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ ამგვარი წესების გაჩენით, მოცულ იქნება სუბიექტების ყველა კატეგორია და ყველას გაუჩნდება გრძელვადიანი დანაზოგების შექმნის შესაძლებლობა.

ამასთან უნდა აღინიშოს, რონ ქვეყანაში გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირება, წარმოადგენს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების შესაძლებლობას, რადგან აკუმულირებული თანხების ინვესტირება შესაძლებელი იქნება სწორედ ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე გრძელვადიანად, რაც აისახება უფრო ეფექტურ კაპიტალის ალოკაციაში და თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი აწესრიგებს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ორგანიზებისა და განხორციელების საკითხებს და განსაზღვრავს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის

მონაწილეებისათვის სქემაში მონაწილეობის წესებს და პირობებს. კანონპროექტი განსაზღვრავს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების მონაწილეთა უფლებებს და ადგენს მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმებსა და გარანტიებს. ამასთანავე, კანონპროექტი არეგულირებს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების წესებსა და პრინციპებს. კანონპროექტი ასევე ვრცელდება აქტივების მმართველი კომპანიების, მზღვეველის, საპენსიო კომპანიის, სპეციალიზებული დეპოზიტარების და სხვა პირების საქმიანობაზე იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ასეთი საქმიანობა უკავშირდება ნებაყოფლობით კერძო პენსიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტით შემოთავაზებული საზედამხედველო ჩარჩო არეგულირებს: 1. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიას, რომელიც კანონპროექტის შესაბამისად ლიცენზირებულია საზედამხედველო ორგანოს[1] მიერ და დაფუძნებულია როგორც დამოუკიდებელი კომპანია დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების, დასაქმებულთა გაერთიანების ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ; 2. საქართველოში დაფუძნებული აქტივების მმართველი კომპანიებს და მზღვეველებს, რომლებიც ახორციელებენ ნებაყოფლობით კერძო პენსიასთან დაკავშირებულ საქმიანობას; 3. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიების, აქტივების მმართველი კომპანიებისა და მზღვეველების მიერ დარეგისტრირებულ საპენსიო სქემებს და აგრეთვე საქართველოში შემოთავაზებულ უცხოურ საპენსიო სქემებს, რომელთა საქართველოში შეთავაზებაც უნდა განხორციელდეს კანონპროექტის შესაბამისად.; და 4. სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ჩართულნი არიან საპენსიო სქემებისა და საპენსიო კომპანიების აქტივების ინვესტირებასთან, მართვასთან, შენახვასთან, ადმინისტრირებასთან, აღრიცხვასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. მნიშვნელოვანია, რომ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ცალსახად ადგენს, რომ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ განახორციელონ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, ამ კანონის შესაბამისად ზედამხედველობის ორგანოს ნებართვის/რეგისტრაციის/ლიცენზიის გარეშე.

კანონპროექტით განსაზღვრული მარეგულირებელი ჩარჩო არ ვრცელდება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, აგრეთვე უცხო სახელმწიფოების ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებსა და დაწესებულებებზე, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ან სავალდებულო საპენსიო სისტემების ფონდებს მართავენ, ასევე „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საპენსიო სქემასა და საერთაშორისო ფინანსური და დიპლომატიური ინსტიტუტების მიერ საქართველოში მათი თანამშრომლებისთვის შეთავაზებულ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებულ საპენსიო სქემებზე.

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ცალსახად განმარტავს, რომ კანონპროექტით რეგულირებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემებს, რაც გულისხმობს, რომ კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მიღებული

---

[1] კანონპროექტის მე-2 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“.

პენსია განისაზღვრება მხოლოდ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული საპენსიო აქტივებით და მის მიერ შერჩეული პენსიის გადახდის გრაფიკის შესაბამისად და არ არის დამოკიდებული სხვა ფაქტორებზე. აღნიშნული პუნქტის მიზანია, რომ აკრძალოს საქართველოში რეგისტრირებული არცერთი ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის, როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემის[2] შეთავაზება.

კანონპროექტი არეგულირებს საპენსიო სქემებს, მის სახეებსა და მასში მონაწილეობის საკითხებს. კანონპროექტის მიხედვით საპენსიო სქემა, რომელიც წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადით შექმნილ მექანიზმს, რომლის მიზანია მონაწილეთა და ბენეფიციართა მიერ საპენსიო დანაზოგების დაგროვების, ინვესტირებისა და პენსიების მიღების ორგანიზება, შესაძლებელია იყოს ორი სახის: ინდივიდუალური საპენსიო სქემა და ჯგუფური საპენსიო სქემა. ინდივიდუალური საპენსიო სქემის რეგისტრირების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ აქტივების მმართველ კომპანიებსა და მზღვეველებს და მასში მონაწილეობა შეუძლია როგორც დასაქმებულ ფიზიკურ პირს, ასევე ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირს (მათ შორის თვითდასაქმებულს). მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტით თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს ერთ ან რამდენიმე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში და კიდევ უფრო მეტი მოქნილობისათვის ნებისმიერ დროს გადაიტანოს მისი საპენსიო აქტივი ერთი ინდივიდუალური სქემიდან მეორე ინდივიდუალურ სქემაში. რაც შეეხება ჯგუფურ საპენსიო სქემას, აღნიშნული განპირობებულია დასაქმებით და მასში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად შრომით ურთიერთობაში მყოფ დასაქმებულს, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულს ჯგუფურ საპენსიო სქემასთან ერთად შეუძლია ასევე მონაწილეობა მიიღოს ერთ ან მეტ ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში. ჯგუფური საპენსიო სქემა შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ორგვარად - 1. დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების, დასაქმებულთა გაერთიანების ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ საპენსიო კომპანიის დაარსების გზით; ან 2. დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების, დასაქმებულთა გაერთიანების ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ მზღვეველის ან აქტივების მმართველის დაქირავების გზით. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან საპენსიო სქემების ჩამოყალიბება და რეგისტრაცია შეუძლიათ სწორედ აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველსა საპენსიო კომპანიას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფური საპენსიო სქემის დამფუძნებელი შეიძლება იყოს დამსაქმებელი, დასაქმებულთა გაერთიანება, დამსაქმებელთა გაერთიანება ან პროფესიული ორგანიზაცია საპენსიო ორგანიზაციის დაარსების გზით ან აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის დაქირავების გზით. აღნიშნული სუბიექტების მიხედვით - დასაქმებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დამსაქმებლის საპენსიო სქემაში; დასაქმებულთა გაერთიანების წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დასაქმებულთა გაერთიანების ჯგუფურ საპენსიო სქემაში; დამსაქმებელთა გაერთიანების წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა

---

[2] განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა (defined benefit pension scheme), რომელშიც პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ არის დაკავშირებული მის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებთან და შესაბამის ამონაგებთან.

მიიღონ დამსაქმებელთა გაერთიანების ჯგუფურ საპენსიო სქემაში; პროფესიული ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ მონაწილება მიიღონ პროფესიული ორგანიზაციის ჯგუფურ საპენსიო სქემაში. ზოგადი პრინციპის თანახმად კი საპენსიო სქემის მონაწილეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ საპენსიო ჯგუფურ და ინდივიდუალურ სქემაში. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის მე-8 მუხლი უფრო დეტალურად არეგულირებს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის საპენსიო სქემის დაფინანსების შემთხვევებს - როგორც ზემოთ აღინიშნა ხელშეკრულების დადებით ლიცენზირებულ საპენსიო კომპანიასთან, მზღვეველთან ან აქტივების მმართველ კომპანიასთან დასაქმებულთა საპენსიო სქემით უზრუნველსაყოფად; საპენსიო კომპანიის დაფუძნებით დასაქმებულთა ჯგუფური საპენსიო სქემების უზრუნველსაყოფად; და დამსაქმებელთა გაერთიანებასა და დასაქმებულთა გაერთიანებასთან შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის დადებით, აღნიშული გაერთიანებების მიერ ამ კანონის შესაბამისად დაფუძებული საპენსიო კომპანიების საპენსიო სქემებში მონაწილეობისათვის. დამსაქმებლის მიერ ჯგუფური საპენსიო სქემით დასაქმებულების უზრუნელყოფის შემთხვევაში კანონპროექტი ითვალისწინებს თითოეული დასაქმებულის ინტერესების დაცვის გარანტიებს, კერძოდ დამსაქმებლის ვალდებულებებს: შესთავაზოს და თანაბრად უზრუნველყოს ყველა არსებული დასაქმებულის მონაწილეობა საპენსიო სქემაში გამჭვირვალედ და დისკრიმინაციის გარეშე; შესთავაზოს ყველა ახალ დასაქმებულს საპენსიო სქემაში გაწევრება და უზრუნველყოს მათი უფლება მიიღონ გადაწყვეტილება მონაწილეობის თაობაზე; შრომითი ხელშეკრულების დადებისას შესთავაზოს დასაქმებულს შესაბამისი საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმება; ყველა დასაქმებულს აცნობოს საპენსიო სქემის ყველა პირობა და უზრუნველყოს მისი არჩევანი უარი თქვას საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე შეთავაზებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ფარგლებში; და რეგულარულად, მაგრამ არანაკლებ ერთხელ კალენდარული წლის განმავლობაში, ხოლო საპენსიო სქემის პირობებში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ნებისმიერ ასეთ დროს, უზრუნველყოს დასაქმებულის უფლება გაწევრიანდეს საპენსიო სქემაში, რომელში მონაწილობაზეც დასამქებულმა მანამდე უარი განაცხადა. დამსაქმებელს შეუძლია საპენსიო სქემაში მონაწილეობა გახადოს სავალდებულო, როგორც შრომითი ანაზღაურების ნაწილი, მხოლოდ მაშინ, როდესაც საპენსიო შენატანებს დასაქმებულთა სასარგებლოდ თავად განახორციელებს.

კანონპროექტი მეტი ეფექტურობისა და შესაძლებლობის გაჩენის მიზნით აწესრიგებს პროფესიულ ორგანიზაციათა მიერ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განხორციელების საკითხებს. კანონპროექტის მე-2 მუხლის ჰ[10] პუნქტი განსაზღვრავს ასეთი ორგანიზაციის ბუნებას და განმარტავს, რომ ის წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შექმნილი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ პირებს (მათ შორის თვითდასაქმებულებს) პროფესიული ნიშნით. კანონპროექტის მე-10 მუხლი კი დეეტალურად აწესრიგებს პროფესიული ორგანიზაციების მიერ ჯგუფური საპენსიო სქემების განხორციელების წესებს.

კანონპროექტი მე-3 მუხლის მე-11 პუნქტით ცალსახად განსაზღვრავს, რომ მხოლოდ აქტივების მმართველ კომპანიას და მზღვეველს აქვს უფლება განახორციელოს

ინდივიდუალური საპენსიო სქემის შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის წარმოება დაუშვებელია საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიისა და საპენსიო სქემის რეგისტრაციის გარეშე. ამასთან, კანონპროექტი ასეთი ლიცენზიისა და რეგისტრაციის გარეშე კრძალავს ისეთი ტერმინების სახელწოდებაში გამოყენებას, როგორებიცაა: „საპენსიო კომპანია“, „საპენსიო ფონდი“, „საპენსიო სქემა“, „საპენსიო სქემის წესები“, „საპენსიო წესები“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინების მნიშნელობით ან ამ ტერმინების გამოყენებით, აღნიშნული შეზღუდვა მნიშვნელოვანია მონაწილეთა და ბენეფიცირთა უფლებების დასაცავად და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის დაცულობისათვის.

კანონპროექტის მე-4 მუხლი თითოეული საპენსიო სქემის ტიპისათვის[3] განსაზღვრავს სახელშეკრულებო ურთიერთობების სუბიექტთა წრეს, ხოლო კანონპროექტის მე-5 მუხლი არეგულირებს ამგვარი ხელშეკრულების ნამდვილობის პირობებსა და მოთხოვნებს, კერძოდ ამგვარი ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობაა, რომ ის დადებულ უნდა იქნას წერილობით ერთი მხრივ მონაწილესა და მეორე მხრივ აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას შორის. კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ფიდუციური ვალდებულებების მნიშვნელობაზე და განსაზღვრავს, რომ საპენსიო ხელშეკრულება აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ფიდუციური ვალდებულების მქონე პირების მოვალეობებს და პასუხისმგებლობას, რომლებიც განსაზღვრულია კანონპროექტით. კანონპროექტის თანახმად, საპენსიო სქემის ხელშეკრულების დამახასიათებელი თვისებაა ასევე, რომ ის ფორმდება განუსაზღვრელი ვადით და მასში ნებისმიერი ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საპენსიო სქემის ხელშერულების თითოეული მხარის თანხმობის საფუძველზე, ამასთან აუცილებელია, რომ მას უნდა დაერთოს შესაბამისი საპენსიო სქემის საპენსიო წესები. რაც შეეხება მის შინაარს, კანონპროექტი განსაზღვრავს იმ მინიმალურ საკითხებს, რომლებიც მოცულ უნდა იქნას საპენსიო სქემის ხელშეკრულებაში, კერძოდ ის უნდა განსაზღვრავდეს შეთანხმებულ საპენსიო სქემას, საინვესტიციო მიდგომას, საინვესტიციო არჩევანს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ასევე შენატანების ოდენობას და სიხშირეს.

კანონპროექტი არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნა და წარმოება, იმ მნიშვნელოვანი პრინციპების გათვალისწინებით, როგორიცაა საპენსიო სქემის მონაწილეთათვის საპენსიო ანგარიშზე დისტანციური ელექტრონულ წვდომისა და პირად საპენსიო ანგარიშზე ასახული თითოეული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ჯგუფური საპენსიო სქემების შემთხვევაში დამსაქმებლისა და დასაქმებულის შენატანების და შესაბამისი გადასახდელებისა და საკომისიოების ერთმანეთისაგან განცალკევებულად აღრიცხვა.

---

[3] ინდივიდუალური საპენსიო სქემის და ჯგუფური საპენსიო სქემის (დამსაქმებლის მიერ მისი დასაქმებულებისათვის შექმნილი ჯგუფური საპენსიოსქემის, დასაქმებულთა გაერთიანების მიერ შექმნილი ჯგუფური საპენსიოსქემის, დამსაქმებელთა გაერთიანების მიერ შექმნილი ჯგუფური საპენსიოსქემის და პროფესიული ორგანიზაციის მიერ შექმნილი ჯგუფური საპენსიოსქემის) შემთხვევები.

აღნიშნული რეგულაციები ემსახურება როგორც საპენსიო ანგარიშების ეფექტურ წარმოებას, ისე მონაწილეთა ინტერესების დაცვას.

საპენსიო სქემის მონაწილეთა საპენსიო აქტივებზე უფლებების დაცვას ემსახურება ასევე კანონპროექტის მე-7 და მე-9 მუხლები. ზოგადი პრინციპის თანახმად კი ინდივიდუალური საპენსიო სქემის ფარგლებში გახსნილ თითოეულ პირად საპენსიო ანგარიშზე განთავსებული საპენსიო აქტივები არის შესაბამისი მონაწილის საკუთრება. აბსოლუტური საკუთრების უფლება ასეთ საპენსიო აქტივებზე წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის, ვადამდე პენსიაზე გასვლის, შესაძლებლობის შეზღუდვის ან გარდაცვალების შემთხვევაში. ასევე, ზოგადი პრინციპია, რომ ნებისმიერი საპენსიო სქემის ფარგლებში მონაწილეს აქვს უფლება განკარგოს საპენსიო აქტივები კანონპროექტის შესაბამისად საპენსიო სქემის შეწყვეტის ან საპენსიო აქტივების გადატანის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფური საპენსიო სქემების შემთხვევაში კანონპროექტი ერთმანეთისაგან განასხვავებს დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ განხორციელებულ შენატანებზე მონაწილის უფლებებს - კანონპროექტის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ცალსახად და მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში გახსნილ თითოეულ პირად საპენსიო ანგარიშზე დასაქმებულის მიერ განხორციელებული შენატანები წარმოადგენს მის საკუთრებას ასეთი შენატანების განხორციელების მომენტიდან, ხოლო ჯგუფური საპენსიო სქემის შემთვევაში, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის შენატანებს, თითოეულ პირად საპენსიო ანგარიშზე განთავსებული საპენსიო აქტივების ის ნაწილი, რომელიც დამსაქმებლების მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შედეგია მონაწილის საკუთრებაში გადადის საპენსიო აქტივებზე მონაწილის უპირობო უფლების[4] წარმოშობის მომენტიდან. საპენსიო სქემის მონაწილის უპირობო უფლებების დასაცავად კანონპროექტი მე-9 მუხლით დეტალურად განსაზღვრავს ამ უფლებების წარმოშობისა და დაცვის საკითხებს, კერძოდ აღნიშნული მუხლი, ერთის მხრივ, აწესებს ასეთი უფლებების წარმოშობის საბაზისო გრაფიკს[5], ხოლო მონაწილეთა ინტერესების დასაცავად განსაზღვრავს, რომ, ერთის

---

[4] კანონპროექტის მე-2 მუხლის ჰ[4] პუნქტი განსაზღვრავს საპენსიო აქტივებზე უპირობო უფლებებს როგორც – შესაბამისი საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული მონაწილის უფლებები იმ საპენსიო აქტივების ნაწილზე, რომელიც დამსაქმებლების მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შედეგია არექვემდებარება ჩამორთმევას და ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობითან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა და რომლებიც მოიცავს ნებისმიერ იძულებითი აღსრულების საპროცესო ღონისძიებას (მათ შორის, სარჩელისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს) და საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს (მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, გირავნობასა და ყადაღას).

[5] კანონპროექტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით - ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში შესაძლებელია განისაზღვროს მონაწილისთვის საპენსიოაქტივებზე საკუთრების უპირობო უფლების მინიჭება არაუმეტეს 5 წლიანი შრომითი ურთიერთობების შემდეგ საპენსიო აქტივების იმ ნაწილზე, რომელიც დამსაქმებლების მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შედეგია. თუ შრომითი ურთიერთობა წყდება ვადაზე ადრე,

მხრივ, შესაძლებელია საპენსიო სქემის წესებით განსაზღვრულ იქნას კანონპროექტით დადგენილ საბაზისო გრაფიკზე მონაწილისათვის უფრო ხელსაყრელი გრაფიკი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საპენსიო სქემის წესები არ ითვალისწინებს საპენსიო აქტივებზე უპირობო უფლებების წარმოშობის გრაფიკს - პირად საპენსიო ანგარიშზე პირველი შენატანის განხორციელების მომენტიდან მონაწილეს ენიჭება დამსაქმებლის მიერ განხორციელებული შენატანზე უპირობო უფლება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, მათ შორის დეკრეტის პერიოდი ან სხვა შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდი, მიუხედავად ანაზღაურებისა, ჩაითვლება უპირობო უფლების მინიჭების პერიოდში და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ან დამსაქმებლის სადამფუძნებლო სტრუქტურის შეცვლის შემთხვევაში დასაქმებულები ინარჩუნებენ საპენსიო სქემის ფარგლებში საპენსიო აქტივებზე ამ კანონის შესაბამისად მათზე მინიჭებულ უპირობო უფლებებს და საპენსიო აქტივებზე მინიჭებული უპირობო უფლებები არ შეიძლება დაუბრუნდეს დამსაქმებელს.

კანონპროექტის მე-9 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები კრძალავს დამსაქმებლის მიერ უფლებების ბოროტად გამოყენებას რომელიც მიზნად ისახავს საპენსიო აქტივებზე დასაქმებულის უპირობო უფლებების ან მათი განხორციელების შელახვას და ამგვარი შელახვის შემთხვევაში ითვალისწინებს აღნიშნული უფლებების დაცვის გარანტიებს.

იმისათვის, რომ კანონპროექტით განსაზღვრული სუბიექტების მიერ შეიქმნას საპენსიო კომპანია, რომელიც განახორციელებს ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას, პირველ რიგში აუცილებელია ამგვარი კომპანიის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნება და შემდგომ მისი ლიცენზირება საზედამხედველო ორგანოში კანონპროექტით გათვალისწინებული წესების დაცით. შესაბამისად, მე-11-მე-13 მუხლებით დეტალურად აწესრიგებს საპენსიო კომპანიის დაფუძნების და დაფუძნებული საპენსიო კომპანიის მართვისა და ხელმძღვანელობის საკითხებს, რომლებიც აუცილებელი წინაპირობაა საპენსიო კომპანიად ლიცენზირებისათვის.

კანონპროექტის თანახმად, საპენსიო კომპანია შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საწარმოს საპენსიო კომპანიად ლიცენზირებისათვის საჭიროა ამ საწარმოს ხმის უფლების მქონე ყველა აქციონერის/პარტნიორის გადაწყვეტილება, თუ საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნილი მოთხოვნა ვრცელდება დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების, დასაქმებულთა გაერთიანებისა და პროფესიული

ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ შენატანებზე დასაქმებულისთვის უპირობო უფლებების მინიჭება მოხდება ეტაპობრივად, არანაკლებ შემდეგი პერიოდულობითა და ოდენობებით: ა) 20% დასაქმების პირველი წლის დასრულების შემდეგ; ბ) 40% დასაქმების მეორე წლის დასრულების შემდეგ; გ) 60% დასაქმების მესამე წლის დასრულების შემდეგ; დ) 80% დასაქმების მეოთხე წლის დასრულების შემდეგ; და ე) 100%-ს დასაქმების მეხუთე წლის დასრულების შემდეგ.

ორგანიზაციის მიერ დაფუძნებულ საპენსიო კომპანიაზე. კომპანიის დასაფუძნებლად კი აუცილებელია აღნიშნულ სუბიექტთა შესაბამისი მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებასთან ერთად კანონპროექტის მე-12 მუხლი ადგენს, რომ საპენსიო კომპანია ფუძნდება სადამფუძნებლო დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც უნდა ადგენდეს საპენსიო კომპანიის მართვისა და ადმინისტრირების წესებს და რომელიც აუცილებელია საპენსიო კომპანიის ლიცენზირებისათვის. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის დებულებებს, რომლებსაც არ უნდა ითვალისწინებდეს სადამფუძნებლო დოკუმენტი, კერძოდ დებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონს ან საქართველოს სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ნებისმიერ დებულებას ან ამ აქტების საფუძველზე დადგენილ ნებისმიერ წესს და არასამართლიანია საპენსიო სქემების მონაწილეთა ინტერესებთან მიმართებაში. ხოლო, ამავე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოთვლის იმ მინიმალური დებულებებ[6] ჩამონათვალს, რომლებსაც უნდა ასახავდეს სადამფუძნებლო დოკუმენტი.

კანონპროექტის მე-13 მუხლი განსაზღვრავს საპენსიო კომპანიის სტრუქტურას, რომელიც აუცილებლად უნდა შედგებოდეს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოსაგან. აღნიშნული ორგანოს წევრები წარმოადგენენ ფიდუციური ვალდებულებების მქონე პირებს[7], ამასთან ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს. ამასთან, აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის ყველა იმ უფლებამოსილებას, რომლებიც გადანაწილებულ უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის და რომლებიც ასახულ უნდა იქნას სადამფუძნებლო დოკუმენტში.

იმისათვის, რომ საპენსიო კომპანიამ განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა, მეწარმე სუბიექტის დაფუძნების შემდეგ მნიშვნელოვანია საპენსიო

---

[6] საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს და/ან ინფორმაციას: ა) საპენსიო კომპანიის სახელწოდებას; ბ) საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის წესსა და პროცედურას; გ) საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილების შეტანის წესებსა და პროცედურას; დ) საპენსიო მომსახურების მიწოდების განუსაზღვრელ ვადას; ე) მონაწილეთა უფლება-მოვალეობების აღწერას; ვ) აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის ჩანაცვლების პირობებს, ხოლო ჩანაცვლების შემთხვევაში – მონაწილეთა დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციას; ზ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ჩანაცვლების პირობებს, ხოლო ჩანაცვლების შემთხვევაში – მონაწილეთა დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციას;

[7] პირი, რომელიც პასუხისმგებელია მონაწილეთა ან ბენეფიციართა წინაშე საპენსიო აქტივების დაცვის, ინვესტირების, შენახვის ან აღრიცხვისთვის იმდენად, რამდენადაც ასეთი იურიდიული ან ფიზიკური პირი: რ.ა.) ახორციელებს საპენსიო აქტივების მართვის პროცესში ნებისმიერ დისკრეციულ უფლებამოსილებას ან კონტროლს, გარდა ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების მიზნებისთვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; რ.ბ.) შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გასწევს საინვესტიციო კონსულტაციებს საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით; რ.გ.) შეიმუშავებს საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკას; რ.დ.) აღრიცხავს გარიგებებს და ამუშავებს ამ გარიგებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, აწარმოებს ან/და ინახავს მონაწილეთა შესახებ ჩანაწერებს.

კომპანიის ლიცენზირება, რომელსაც გასცემს საზედამხედველო ორგანო. კანონპროექტის მე-16 მუხლი განსაზღვრავს საპენსიო კომპანიის ლიცენზირების პირობებს და პირველი პუნქტით განსაზღვრავს იმ დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლებიც წარდგენილ უნდა იქნას საზედამხედველო ორგანოში ლიცენზიის მაძიებლის მიერ. ხოლო, კანონპროექტის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოთვლის იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საზედამხედველო ორგანო არ გასცემს საპენსიო კომპანიის ლიცენზიას, რომელთა შორის გარდა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისა, არის შემდეგი შემთხვევები: საპენსიო კომპანიის მიერ შერჩეული სპეციალიზებულ დეპოზიტარი, აქტივების მმართველი კომპანია და მზღვეველი ვერ აკმაყოფილებს საპენსიო აქტივების შენახვისა და მართვის საქმიანობისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად; საპენსიო კომპანიის მიერ დაქირავებული უცხოური აქტივების მმართველი კომპანია ან უცხოური მზღვეველი შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე არ არის აღიარებული/ნებადართული მართოს საპენსიო სქემები საქართველოში ან სახეზეა კანონპროექტით განსაზღვრული მჭიდრო კავშირის შემთხვევა. კანონპროექტის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს საზედამხედველო ორგანოსთვის სალიცენზიო განაცხადის განხილვის ვადას.[8] მნიშვნელოვანია, რომ კანონპროქტი მე-19 მუხლით ასევე განსაზღვრავს საპენსიო კომპანიის ცვლილებების განხორციელების წესსა და ვადებს, შეეხება საპენსიო კომპანიის ლიცენზირების პირობებს.

კანონპროექტი მე-15 მუხლით ნებას რთავს უცხოურ საპენსიო კომპანიებს საქართველოში განახორციელონ საპენსიო საქმიანობა, რაც კიდევ უფრო კონკურენტუნარიანსა და მრავალფეროვანს გახდის ნებაყოფლობით კერძო საპენსიო ბაზარს და დაიცავს დასაქმებულთა ინტერესებს. თუმცა, ამგვარი უცხოური საპენსიო კომპანია უფლებამოსილია ამ კანონის შესაბამისად საქართველოში დაარეგისტრიროს საპენსიო სქემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ლიცენზირებულია შესაბამისი უცხოური საზედამხედველო ორგანოს მიერ და მისი საპენსიო საქმიანობა ექვემდებარება პრუდენციულ რეგულირებას კეთილსაიმედოობის, დაცულობისა და გამჭვირვალობის სტანდარტების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი მეტი მოქნილობისათვის ამგვარი კომპანიისთვის აწესებს ლიცენზირების გარეშე გამარტივებულ აღიარების პროცედურას, იმ პირობით რომ ამგვარ უცხოურ საპენსიო კომპანია საპენსიო საქმიანობას განახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაარსებული ფილიალის მეშვეობით. აღიარების მოსაპოვებლად უცხოური საპენსიო კომპანია მიმართავს საზედამხედველო ორგანოს, რომელის აღიარების პირობებიც მოცემულია კანონპროექტის 21-

---

[8] საზედამხედველო ორგანო ვალდებულია შესაბამისი განაცხადის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საპენსიო კომპანიისათვის ლიცენზიის გაცემის, აღიარების ან განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში საზედამხედველო ორგანო განმცხადებელს დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დასაბუთებულ უარს ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

ე მუხლში. იმისათვის, რომ მოხდეს უცხოური საპენსიო კომპანიის აღიარება დაკმაყოფილებული იქნება სულ მცირე შემდეგი პირობები: შესაბამისმა უცხოურმა საზედამხდველო ორგანომ გასცა შესაბამისი საქმიანობის ლიზენზია/ნებართვა და უცხოური საპენსიო კომპანიის საქმიანობა სათანადოდ რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც დაარსებულია საპენსიო კომპანია; უცხო ქვეყანა, სადაც უცხოური საპენსიო კომპანია არის დაფუძნებული, არ შედის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ დამტკიცებულ არაკოოპერირებადი (არამოთანამშრომლე) ქვეყნებისა და ტერიტორიების ნუსხაში; უცხოურ საპენსიო კომპანიას დაფუძნებული აქვს ფილიალი საქართველოში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ არ იქნა დაკმაყოფილებული აღნიშნული პირობები ან კანონპროექტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უცხოური საპენსიო კომპანია არ არის უფლებამოსილი ან შეჩერებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს საპენსიო საქმიანობა იმ უცხო ქვეყანაში, რომელშიც ის რეგისტრირებულია/დაფუძნებულია საზედამხდველო ორგანო არ აღიარებს ამგვარ უცხოურ საპენსიო კომპანიას.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტით რეგულირდება ახალი ლიცენზირებადი სუბიექტი, კერძოდ საპენსიო კომპანია, კანონპროექტის მე-20 მუხლი საზედამხედველო ორგანოსათვის სავალდებულოს ხდის შექმნას და აწარმოოს ყველა ლიცენზირებული საპენსიო კომპანიის რეესტრი და თავისი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით საჯარო გახადოს მათ შესახებ ინფორმაცია. თოთიეულ საპენსიო კომპანიას საპენსიო კომპანიების რეესტრში უნდა მიენიჭოთ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი და საპენსიო კომპანიების რეესტრში აღინიშნებოდეს საპენსიო კომპანიის, მის მიერ დაქირავებული აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის და სპეციალიზებული დეპოზიტარის სახელწოდება, სტატუსი (არის ლიცენზირებული, ლიცენზია გაუქმებული და ა.შ.), ასევე აღნიშნული უნდა იყოს ინფორმაცია საპენსიო კომპანიის მიმართ ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის ნებისმიერი ფორმის მიმდინარეობის შესახებ.

საპენსიო საქმიანობის განხორციელების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს საპენსიო სქემები, რომლებიც საჭიროებენ რეგისტრაციას საზედამხედველო ორგანოში. კანონპროექტის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად საპენსიო სქემა არის სადაზღვევო სამსახურის მიერ რეგისტრირებული წესებისა და პარამეტრების ერთობლიობა, რომელთა შესაბამისად ხდება საპენსიო შენატანების განხორციელება და პენსიის გადახდა. სწორედ, საპენსიო სქემის რეგისტრაციას ეთმობა კანონპროექტის IV თავი, რომელიც 22-ე მუხლით განსაზღვრავს საპენსიო სქემების რეგისტრაციის წესებსა და რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალს. აქტივების მმართველ კომპანიებს, მზღვეველებს და საპენსიო კომპანიებს შეუძლიათ შექმნან და შესთავაზონ ერთი ან მეტი საპენსიო სქემა, რომელთაგან თითოეული უნდა დარეგისტრირდეს საზედამხედველო ორგანოში. 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ერთმანეთისაგან განასხვავებს ინდივიდუალური და ჯგუფური საპენსიო სქემების რეგისტრაციისათვის წარსადგენი ინფორმაციისა და დოკუმენტების ჩამონათვალს, მათი სუბიექტებისა და ბუნების მიხედვით. 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საზედამხედველო ორგანოს უფლება აქვს საპენსიო

სქემის რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მოითხოვოს განმცხადებლისაგან დამატებითი დოკუმენტაციისა და მის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაციის წარდგენა, ამასთან მას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში გამოიკვლიოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. რაც შეეხება, საპენსიო სქემის რეგიტრაციის გადაწყვეტილებას, კანონპროექტის თანახმად საზედამხედველო ორგანო ვალდებულია საპენსიო სქემის რეგისტრაციაზე განაცხადის მიღებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საპენსიო სქემის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის შესახებ წერილობით, უარის შემთხვევაში დგინდება სტანდარტი, რომ ამგვარი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

საპენსიო სქემების მართვისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ახორციელებს სპეციალიზებული დეპოზიტარი, რომელიც რეგულირდება საინვესტიციო ფონდების ფარგლებში განსაზღვრული სპეციალიზებული დეპოზიტარის ანალოგიურად და ახორციელებს კასტორიანურ მომსახურებას საპენსიო სქემებისა და მათ ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივებისათვის 2016/2341 (IORPs II) დირექტივით დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ, ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად, იკრძალება სპეციალიზებული დეპოზიტარისა და აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის ფუნქციების ერთი პირის მიერ შეთავსება, სწორედ ამ პრინციპის განმტკიცებას ემსახურება კანონპროექტის 23-ე მუხლი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით აქტივების მართვის მომსახურება და სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურება ერთი და იგივე საპენსიო სქემისთვის არ უნდა გასწიოს ერთი და იგივე პირმა ან მჭიდროდ დაკავშირებულ პირებმა, ამასთან კანონპროექტი აზუსტებს, რომ მზღვეველებს შეუძლიათ გასწიონ ან აქტივების მართვის მომსახურება ან სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება მათ მიერ დაარსებული საპენსიო სქემებისათვის, მაგრამ არა ორივე ერთად. ამასთან 23-ე მუხლი საპენსი კომპანიების შემთხვევაში აკონკრეტებს, რომ საპენსიო კომპანია უნდა სარგელბლობდეს ერთმანეთისგან იურიდიულად დამოუკიდებელი აქტივების მმართველი კომპანიების და სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურებით, რომლებიც არ უნდა იყვნენ ერთი და იგივე სუბიექტის ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სუბიექტთა საკუთრებაში ან მმართველობის ქვეშ.

კანონპროექტის შესაბამისად „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად სპეციალიზებული დეპოზიტარი შეიძლება იყოს საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან სხვა იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული და უფლებამოსილია განახორციელოს ფინანსური ინსტრუმენტების შენახვის მომსახურება. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი დირექტივის მსგავსად განსაზღვრავს, რომ თითოეული საპენსიო სქემის ფარგლებში შესაძლოა დაინიშნოს ერთი ან მეტი სპეციალიზებული დეპოზიტარი ამ კანონისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონპროექტით განისაზღვრება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციები და მოვალეობები საპენსიო სქემების ფარგლებში არსებულ საპენსიო აქტივებთან მიმართებით, ამასთან კონკრეტდება, რომ სპეციალიზებული დეპოზიტარი არის ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი და შესაბამისად პასუხისმგებელია აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის, აგრეთვე საპენსიო სქემის მონაწილეთა და ბენეფიციართა წინაშე. კანონპროექტით ცალკე მუხლი ეთმობა სპეციალიზებული დეპოზიტარის ზრუნვის მოვალეობასა და ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც განსაზღვრავს, რომ საპენსიო სქემის მომსახურე სპეციალიზებული დეპოზიტარი მოქმედებს კეთილსინდისიერად, სამართლიანად, პროფესიულად, დამოუკიდებლად და მხოლოდ მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესებიდან გამომდინარე. სპეციალიზებულ დეპოზიტარს აგრეთვე ეკრძალება საინვესტიციო ფონდთან ან აქტივების მმართველ კომპანიასთან მიმართებით ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელმაც შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტი წარმოქმნას, აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო სქემის დამაარსებელ საპენსიო კომპანიას შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა თავისი დეპოზიტარული საქმიანობა ფუნქციურად და იერარქიულად განაცალკევა სხვა პოტენციურად კონფლიქტური ამოცანებისაგან, ხოლო პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი სათანადოდ იმართება, კონტროლდება, რის შესახებაც მონაწილეებს სათანადოდ ეცნობებათ.

სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის შესანახად გადაცემული აქტივები ექვემდებარება დეპოზიტარის კუთვნილი აქტივებისგან სეგრეგაციას (განცალკევებას) და იკრძალება მათი აღსრულება სპეციალიზებული დეპოზიტარის ან მისი ფუნქციების შემსრულებელი მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე აღნიშნული აქტივების შეტანა სპეციალიზებული დეპოზიტარის ან მისი ფუნქციების შემსრულებელი მესამე პირის სალიკვიდაციო მასაში მათ წინააღმდეგ გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში. კანონპროექტი სპეციალიზებულ დეპოზიტარს აკისრებს მკაცრ პასუხიმგებლობას მისთვის შესანახად მიბარებული ფასიანი ქაღალდების დაკარგვისათვის და გამონაკლისად ადგენს მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როდესაც დანაკარგი გამოიწვია დაუძლეველმა ძალამ, რომელიც არ ექვემდებარებოდა დეპოზიტარის კონტროლს და დამდგარი შედეგი გარდაუვალი იქნებოდა, მიუხედავად ყველა გონივრული ძალისხმევისა.

კანონპროექტის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ფუნქციების მესამე პირისთვის გადაცემას, რომლის თანახმადაც დაშვებულია მხოლოდ შემოწმების უფლებამოსილების გადაცემა რომელიც განისაზღვრება 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

კანონპროექტით ასევე განისაზღვრება სპეციალიზებული დეპოზიტარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები (კანონპროექტის 30-ე მუხლი). მნიშნელოვანია, რომ საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად სპეციალიზებული დეპოზიტარი, რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა ხელშეკრულების შეწყვეტის ან აქტივების მმართველი კომპანიის ცვლილების გამო, ვალდებულია გააგრძელოს საქმიანობა ახალი სპეციალიზებული

დეპოზიტარის დანიშვნამდე, აღნიშნული კი ემსახურება საპენსიო სქემების მონაწილეთა ინტერესებისა და საპენსიო აქტივებზე მათი საკუთრების უფლებების დაცვას.

კანონპროექტის 31-ე მუხლის თანახმად თითოეულ საპენსიო სქემას შესაძლოა გააჩნდეს ერთი ან მეტი საპენსიო ფონდი, რომელიც ფორმირდება აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მიერ მათ მიერ დაფუძნებული საპენსიო სქემებისათვის. სწორედ თოთოეულ საპენსიო ფონდს უნდა გააჩნდეს საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკას/სტრატეგიას, მათ შორის, იმის მითითებით, თუ რომელ აქტივებში აპირებს საპენსიო ფონდი ინვესტიციის განხორციელებას და რისკების მართვის პოლიტიკასა და მიდგომებს. კანონპროექტი იმპერატიულად აწესებს, რომ საპენსიო აქტივების მართვა და მათი ინვესტირება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის მიერ.

კანონპროექტის თანახმად აქტივების მმართველი კომპანიის და მზღვეველის ძირითადი საქმიანობაა პორტფელის მართვა და რისკების მართვა. ამასთან, საპენსიო სქემის საპენსიო ფონდის მართვისას ინისი უფლებამოსილნი არიან დამატებით შეასრულონ კანონპროექტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ფუნქციები.[9] მნიშვნელოვანია, რომ მეტი მოქნილობისათვის კანოპროექტი ითვალისწინებს საპენსიო სააგენტოს უფლებამოსილებას განახორციელოს აღნიშნული ადმინისტრაციული ფუნქციები მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ნებაყოფლობითი საპენსიო სქემის საპენსიო ფონდის მართვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი საპენსიო სქემა რეგისტრირებულია საპენსიო კომპანიის მიერ. აღნიშნული გულისხმობს, რომ აქტივების მმართველი კომპანიის და მზღვეველის მიერ ინდივიდუალური ან ჯგუფური სქემების მართვისას (ისეთი ჯგუფური სქემების მართვისას, რომელიც ხორციელდება ხელშეკრულების დადებით დამსაქმებელთან, დამსაქმებელთა გაერთიანებასთან, დასაქმებულთა გაერთიანებასთან და პროფესიულ ორგანიზაციასთან) შესაძლებელია განხორციელდეს ადმინისტრაციული ფუნქციების დელეგირება საპენსიო სააგენტოზე, რომელიც ამგვარ ფუნქციებს განახორციელებს კანონპროექტით დადგენილი წესების შესაბამისად და ამ ნაწილში მისი საქმიანობა მოექცევა საზედამხედველო ორგანოს ზედამხდველობის ქვეშ, რომელიც არეგისტრირებს თითოეულ საპენსიო სქემას და ახორციელებს მათზე ზედამხედველობას. ამასთან, კანონპროექტის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასევე მიუთითებს მნიშვნელოვან პრინციპზე, რომ საპენსიო სააგენტო ამგვარ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობისაგან დამოუკიდებლად და გამიჯნულად. მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით, კანონში ნებისმიერი მითითება აქტივების

---

[9] იურიდიული და საბუღალტრო მომსახურება; მონაწილეებთან და ბენეფიციარებთან კომუნიკაცია; შეფასება და ფასის დადგენა, მათ შორის, საგადასახადო დეკლარირება; დ) მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი; ე) პირადი საპენსიო ანგარიშების რეესტრის წარმოება; ვ) პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნა და დახურვა; ზ) პენსიების გაცემა; და თ) ჩანაწერების წარმოება და შენახვა.

მმართველ კომპანიაზე, საპენსიო კომპანიასა და მზღვეველზე ასევე განიმარტება, როგორც მითითება საქართველოში აღიარებულ ან ნებადართულ უცხოურ აქტივების მმართველ კომპანიაზე, საპენსიო კომპანიასა და მზღვეველზე.

კანონპროექტის 33-ე მუხლი ეხება საპენსიო სქემების საპენსიო აქტივების ინვესტირებას და განსაზღვრავს როგორც ინვესტირების პრინციპებს, ისე აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველისათვის დადგენილ მოთხოვნებსა და საინვესტიციო ლიმიტებს. საპენსიო აქტივების ინვესტირება უნდა განხორციელდეს მონაწილეთა და ბენეფიციართა გრძელვადიანი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით, რომელიც თავის თავში მოიაზრებს უსაფრთხოების პრინციპს, დივერსიფიკაციის პრინციპს, ძირითადად რეგულირებად ფინანსურ ბაზრებზე ინვესტირებას, ადეკვატური ლიკვიდობის შენარჩუნებასა და საპენსიო აქტივების ინვესტირების შედეგად გრძელვადიან პერიოდში ინვესტირების რისკთან ადეკვატური შეფარდებით მათი რეალური ამონაგების მაქსიმალურად გაზრდა. კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს ყველა იმ ინფორმაციას, რომელსაც უნდა მოიცავდეს საინვესტიციო პოლიტიკა (33-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

კანონპროექტის 33-ე მუხლის მე-5 ნაწილი დეტალურად ჩამოთვლის ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს აქტივების მმართველი კომპანია და მზღვეველი საპენსიო აქტივების ინვესტირებისას, მათ შორის მათ შემდეგ ვალდებულებებს: მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად, პროფესიონალურად და მხოლოდ საპენსიო სქემის მონაწილეთა და ბენეფიციართა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად; შეიმუშავონ რისკის მართვის პოლიტიკა და კონტროლის შიდა მექანიზმები; ფუნქციურად და იერარქიულად უზრუნველყოს რისკების მართვის ფუნქციის დამოუკიდებლობა საოპერაციო ფუნქციებისგან, მათ შორის, პორტფელის მართვისგან; ჰქონდეს საქმიანობის უწყვეტობის გეგმა; მიიღოს ყველა გონივრული ზომა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და სხვა.

კანონპროექტის 33-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ერთმანეთისაგან განასხვავებს ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივებს, რომლებშიც შესაძლებელია განხორციელდეს საპენსიო აქტივების ინვესტირება. განმსაზღვრელი კი ამ აქტივებში ინვესტირების უნდა იყოს ზემოაღნიშნული კეთილსაომედო ინვესტირების პრინციპები. ხოლო, ამავე მუხლის მე-10 მუხლი ჩამოთვლის ყველა იმ აქტივს, რომელშიც დაუშვებელია ინვესტირება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მუხლი მოიცავს საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებებს დაადგინოს გარკვეული წესები და მოთხოვნები ინვესტირებასთან დაკავშირებით, კერძოდ საზედამხედველო ორგანო ადგენს მაქსიმალურ დასაშვებ ლიმიტებს ფასიანი ქაღალდების თითოეული ემიტენტისათვის, მათ შორის მჭიდრო კავშირში მყოფი ან კონტროლის განმახორციელებელი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა ეკუთვნოდეს აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას. საზედამხედველო ორგანო მაქსიმალურ დასაშვებ ლიმიტებს ადგენს ასევე აქციებისთვის, სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის და ნებისმიერი სახის საინვესტიციო ინსტრუმენტისთვის. ამასთან, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია დროდარდო დაადგინოს მინიმალური

დასაშვები რეიტინგი ამ მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი სახის საინვესტიციო ინსტრუმენტისთვის ან/და ემიტენტისთვის.

კანონპროექტის VII თავი ეთმობა მონაწილეთათვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებებს, რომელიც წარმოადგენს მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესების დაცვისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს და რომელიც დეტალურად წესრიგდება დირექტივით. კანონპროექტით აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებუია შეადგენოს და საჯაროდ გამოაქვეყნოსს შემდეგი დოკუმენტები: ა)საპენსიო სქემის წესები თითოეული საპენსიო სქემისთვის; ბ)საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ; გ)წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის; და დ)ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური წლის ას ოთხმოცი (180) კალენდარული დღისათვის. ამასთან, აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან მონაწილეებს მიაწოდონ საპენსიო სქემის წესები და წლიური/ნახევარწლიური ანგარიშები მათი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია პირადი საპენსიო ანგარიშის სტატუსის შესახებ მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველდღიურად. ამასთან, 34-ე მუხლით დგინდება სტანდარტი, რომ მონაწილისათვის განკუთვნილი დოკუმენტები/ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად, რომელიც გასაგები იქნება თითოეული რიგითი მონაწილისათვის. აღნიშნული მუხლი ასევე ადგენს საზედამხედველო ორგანოს ვალდებულებას დეტალურად განსაზღვროს მონაწილეთათვის ინფორმაციის მიწოდების წესები, რომელიც დირექტივის მსგავსად დეტალურად მოაწესრიგებს აღნიშნულ საკითხს.

კანონპროექტით საპენსიო ასაკის მიღწევისას, ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლის შემთხვევაში ან მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული პენსია. კანონპროექტის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით პენსია შესაძლოა გაიცეს შემდეგნაირად - ერთიანი გადახდით[10], პროგრამული გატანით[11] ან ანუიტეტის[12] ფორმით. მნიშნელოვანია, რომ ანუიტეტის მიღება მონაწილეს შეუძლია მონაწილესა და საქართველოში ლიცენზირებულ მზღვეველს შორის მონაწილისათვის ან/და მონაწილის მეუღლისათვის პენსიის ყოველთვიური გადახდის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კანონპროექტით ცალკე რეგულირდება პენსიის გაცემა შესაძლებლობის შეზღუდვისას. კანონპროექტის 36 მუხლის თანახმად საზედამხედველო ორგანო

---

[10] პირად საპენსიო ანგარიშზე არსებული პენსიის მთლიანი ოდენობის ერთჯერადი გადახდა მონაწილისათვის ან ბენეფიციარისათვის (კანონპროექტის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი).

[11] ამ კანონით დადგენილი წესით პირადი საპენსიო ანგარიშიდან პენსიის პერიოდული გატანა (კანონპროექტის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი).

[12] საქართველოს „დაზღვევის შესახებ“ კანონით განსაზღვრული დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ გადახდას მონაწილის ან ბენეფიციარის სიცოცხლის განმავლობაში (ანუიტეტი სიცოცხლის ხანგრძლივობით) შესაბამისი საპენსიო წესების დაცვით (კანონპროექტის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი).

ვალდებულია დაადგინოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაძლებლობის შეზღუდვის ის კატეგორია/კატეგორიები, რომლის მიკუთვნების შემთხვევაშიც მონაწილეს მიეცემა უფლება მიიღოს პენსია საპენსიო ასაკის მიღწევამდე კანონპროექტით განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით.

მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს მონაწილის უფლებამოსილებას საპენსიო სქემაში გაწევრებისას განსაზღვროს ბენეფიციარი, რომელსაც მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში გადაეცემა მონაწილის უფლებები საპენსიო აქტივებზე. ასეთ შემთხვევაში, მონაწილემ უნდა უზრუნველყოს ასეთი მესამე პირების იდენტიფიცირება ყველა საჭირო ფორმით. მნიშნელოვანია, რომ მონაწილეს კანონპროექტით ენიჭება უფლებამოსილება საპენსიო სქემაში მონაწილეობის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეცვალოს მის მიერ საპენსიო სქემაში გაწევრებისას განსაზღვრული ბენეფიციარი. ბენეფიციარის განსაზღვრის ნამდვილობისთვის კანონპროექტი აწესებს მოთხივნებს 37 მუხლით, მათ შორის მოთხივნას, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა განხორციელდეს წერილობით და საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე არ განსაზღვრავს ბენეფიციარს ან მის მიერ განსაზღვრული ბენეფიციარი გარდაიცვალა, მონაწილის გარდაცვალებისას მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხულ საპენსიო აქტივებზე უფლებები გადაეცემა მის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს). მნიშნელოვანია, რომ პენსიის ბენეფიციარებისათვის გაცემის ნებისმიერ შემთხვევაში, მათ მიენიჭებათ მონაწილისათვის საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები სრულად.

კანონპროექტის 38-ე მუხლი არეგულირებს თუ რა ინფორმაცია უნდა იქნას მითითებული პენსიის გაცემის განაცხადში (გაცემის ფორმის არჩევა, მონაწილის/ბენეფიციარის ვინაობა, საბანკო რეკვიზიტები და სხვა.), ხოლო 39-ე მუხლი არეგულირებს პენსიის გაცემის განცხადების განხილვის ვადა და პენსიის გაცემა.

კანონპროექტი მეტი მოქნილობისა და მონაწილეთა/ბენეფიციართა ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად ითვალისწინებს, რომ ყველა საპენსიო სქემა უნდა ითვალისწინებს საპენსიო აქტივების გადატანის შესაძლებლობასა და წესებს. აღნიშული გულისხმობს, რომ პენსიის სხვა სქემაში გადატანის შესაძლებლობა აქვს ყველა მონაწილეს მიუხედავად საპენსიო სქემის ფორმისა. კანონპროექტის მე-40 მუხლის შესაბამისად ჯგუფური საპენსიო სქემის შემთხვევაში მონაწილეს უფლება აქვს გადაიტანოს შემდეგ შემთხვევებში: 1. თუ შეწყდა მისი შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან ან შეწყდა მისი წევრობა დასაქმებულთა გაერთიანებაში, პროფესიულ ორგანიზაციაში ან თუ შეწყდა მისი დამსაქმებლის წევრობა დამსაქმებელთა გაერთიანებაში; 2. იმ მზღვეველის, აქტივების მმართველი კომპანიის ან საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში, რომელმაც დააფუძნა და დაარეგისტრირა ჯგუფური საპენსიო სქემა; 3. საპენსიო სქემის შეწყვეტისას; და 4. საპენსიო კომპანიის სხვა საპენსიო კომპანიასთან შერწყმისას. რაც შეეხება ინდივიდუალურ საპენსიო სქემას, მონაწილე უფლებამოსილია გადაიტანოს საპენსიო აქტივები სხვა ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში: 1. იმ მზღვეველის ან აქტივების მმართველი

კომპანიის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში, რომელმაც დააფუძნა და დაარეგისტრირა საპენსიო სქემა; ან 2. საპენსიო სქემის შეწყვეტისას.

კანონპროექტი ითვალისწინებს საპენსიო სქემის შეწყვეტის შემთხვევებს და ამ შემთხვეევაში მონაწილეთა/ბენეფიციართა უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტიებს. კანონპროექტის 41-ე მუხლი არეგულირებს საპენსიო სქემის შეწყვეტის ორ შემთხვევას: 1. საზედამხეველო ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს საპენსიო სქემის რეგისტრაცია, თუ დარწმუნდება, რომ ადგილი ჰქონდა რეგისტრაციასთან დაკავშირებული მცდარი, არასწორი ან გაყალბებული ინფორმაციის წარდგენას ან მზღვეველის, აქტივების მმართველი კომპანიის ან საპენსიო კომპანიის მიერ კანონის, სხვა შესაბამისი კანონებისა და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით/აქტებით ან მითითებ(ებ)ით დადგენილი მოთხოვნის (მოთხოვნების) არაერთგზის ან უხეშ დარღვევას, ან თუ საპეენსიო სქემის შეწყვეტა აუცილებელია საპენსიო სქემის საინვესტიციო საქმიანობის შედეგებიდან და მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესებიდან გამომდინარ; და 2. საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო სქემის შეწყვეტის გადაწყვეტილება და დაიწყოს საპენსიო სქემის შეწყვეტის პროცედურა საპენსიო სქემის თითოეული მონაწილისათვის და საზედამხედველო ორგანოსათვის ოთხმოცდაათი (90) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, კანონპროექტის 41-ე მუხლი არეგულირებს საზედამხედველო ორგანოს მიერ საპენსიო სქემის რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევებს, კერძოდ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ შეტყობინების გაგზავნისას საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საპენსიო სქემის რეგისტრაცია და გაყინოს აღნიშნული საპნსიო სქემის ფარგლებში არსებული მართვის ქვეშ მყოფი საპენსიო აქტივები სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული წარმოადგენს შუალედურ პროცესს, რომლის შემდეგაც იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო დადგენილ ვადაში წერილობით არ უპასუხებს საზედამხედველო ორგანოს ან თუ მათ წერილობით მიმართვაში შემოთავაზებული მიზეზების აღმოსაფხვრელი ზომები არ არის სათანადო, საზედამხედველო ორგანო გააუქმებს საპენსიო სქემის რეგისტრაციას, ან შეცვლის საპენსიო სქემის რეგისტრაციის შეჩერების გადაწყვეტილებას საპენსიო სქემის რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილებით.

საპენსიო სქემის ზემოაღნიშნულ შემთხვევებში შეწყვეტისას უნდა დაიწყოს საპენსიო აქტივების ლიკვიდაციის პროცესი. იმ შემთხვევაში თუ საპენსიო სქემის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს საზედამხდველო ორგანო ის ნიშნავს კანონპროექტის 41 მუხლის შესაბამისად ლიკვიდატორს, ხოლო თუ საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო იღებს საპენსიო სქემის შეწყვეტის გადაწყვეტილებას საპენსიო კომპანიის, მზღვეველის ან აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მოამზადოს საპენსიო სქემის ანგარიშგება, რომელშიც აისახება ყველა აქტივი და ვალდებულება, საპენსიო სქემის შეწყვეტის შესახებ ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

შეტყობინების გაგზავნის დღიდან ოთხმოცდაათი (90) კალენდარული დღის განმავლობაში, რომელიც წარედგინება საზედამხედველო ორგანოს და ეგზავნება საპენსიო სქემის ყველა მონაწილეს. თუ საპენსიო სქემის ანგარიშგების მიხედვით საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული ლიკვიდური საპენსიო აქტივები საკმარისია საპენსიო სქემის მონაწილეთა საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად, საპენსიო სქემის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა დაუყოვნებლივ გადაიტანონ საპენსიო აქტივები სხვა რეგისტრირებულ საპენსიო სქემაში. თუ საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული ლიკვიდური აქტივები არ არის საკმარისი საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად, სამეთვალყურეო საბჭო და ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საზედამხედველო ორგანოს ანგარიშგებასთან ერთად დასამტკიცებლად წარუდგინოს სალიკვიდაციო გეგმა, სალიკვიდაციო გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საპენსიო სქემის ყველა მონაწილისთვის. თავის მხრივ, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია უარყოს წინამდებარე პუნქტის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წინადადება ლიკვიდაციის შესახებ და ასეთ შემთხვევაში განსაზღვროს ლიკვიდატორის დანიშვნის აუცილებლობა კანონპროექტის დებულებების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ არცერთი მოთხოვნა ან/და წესი არ გამორიცხავს საპენსიო მონაწილის რეგრესის ან/და ზიანის ანაზღაურების უფლებას ლიკვიდატორის, საპენსიო კომპანიის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, ფიდუციური ვალდებულების მქონე პირების, ან ასეთ პირებთან მჭიდროდ დაკავშირებული ნებისმიერი პირის/პირების წინააღმდეგ.

კანონპროექტი ითვალისწინებს საპენსიო კომპანიების შერწყმის შემთხვევებს, კერძოდ საპენსიო კომპანია უფლებამოსილია განსაზღვროს, რომ ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა საპენსიო კომპანიასთან შერწყმა მისი წევრების საუკეთესო ინტერესებში შედის. საპენსიო კომპანიების შერწყმისათვის ორმა ან მეტმა საპენსიო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს შერწყმის გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საზედამხედველო ორგანოს. შერწყმის გეგმის საზედამხედველო ორგანოსათვის წარდგენისთანავე, თითოეული საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო მოამზადებს მისი საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების შეფასებას და მიიღებს ყველა საჭირო ზომას მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესების დასაცავად. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული საპენსიო კომპანია ვალდებულია აცნობოს საპენსიო სქემის მონაწილეებს შერწყმის შესახებ და მიაწოდოს მათ შერწყმის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს თითოეული საპენსიო სქემის მონაწილეთა პირადი საპენსიო ანგარიშების შენარჩუნებას/წარმოებას და საპენსიო აქტივებზე მათი უფლებების დაცვას. ამასთან, ყველა საპნსიო კომპანიების შეწყმისას ყველა მონაწილეს უფლება აქვს გადაიტანოს საპენსიო აქტივები სხვა საპენსიო სქემაში.

კანონპროექტით დგინდება საპენსიო კომპანიების ლიკვიდაციის სპეციალური ჩარჩო, რომლის მიზანია უზრუნველყოფილი იქნეს კომპანიის ლიკვიდაციისას მისი მართვის ქვეშ საპენსიო სქემების და საპენსიო აქტივებზე მონაწილეთა უფლებების დაცვა. საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დაწყების საფუძველია საპენსიო კომპანიის ლიცენზიის გაუქმება, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ლიცენზიის მოთხოვნასთან დაკავშირებული მცდარი, არასწორი ან გაყალბებული ინფორმაციის წარდგენას ან ადგილი აქვს საპენსიო კომპანიის

მიერ ამ კანონის, სხვა შესაბამისი კანონებისა და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით/აქტებით ან მითითებ(ებ)ით დადგენილი მოთხოვნის (მოთხოვნების) არაერთგზის ან უხეშ დარღვევას, რომელიც არ აღმოფხვრილა ან ამგვარ დარღვევას ნეგატიური გავლენა აქვს საპენსიო სქემის საინვესტიციო საქმიანობაზე ან ლიცენზიის გაუქმება ემსახურება მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესებს. ამასთან, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს საპენსიო კომპანიის ლიცენზია, თუ საპენსიო კომპანიას არ გააჩნია საკმარისი საკუთარი კაპიტალი მომდევნო 5 (ხუთი) წლის მანძილზე წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად ან საპენსიო კომპანიას არ გააჩნია ადეკვატური დროში გაწერილი გეგმა ასეთი კაპიტალის გასაზრდელად. თუ საზედამხედველო ორგანო აუქმებს საპენსიო კომპანიის ლიცენზიას: საპენსიო კომპანიის ლიცენზიის გაუქმების მომენტიდან საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული საპენსიო სქემის/სქემების ფარგლებში საპენსიო შენატანების განხორციელება და მიღება დაუშვებელია; ხდება საპენსიო სქემის/სქემების მართვის ქვეშ მყოფი საპენსიო აქტივების გაყინვა; და საზედამხედველო ორგანო ნიშნავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ლიკვიდატორს, რომელსაც არ აქვს მჭიდრო კავშირი საპენსიო კომპანიასთან, საპენსიო კომპანიის მიერ დაქირავებულ მზღვეველთან ან აქტივების მმართველ კომპანიასთან, საპენსიო კომპანიის დამფუძნებელთან, დამსაქმებელთან/დამსაქმებლებთან, რომლებიც საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებულ საპენსიო სქემებში ახორციელებენ შენატანებს ან აღნიშნული სუბიექტების სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრებთან ან მათ თანამშრომლებთან. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტის საფუძველზე განსაზღვროს ლიკვიდატორის მიმართ საჭირო მოთხოვნები, ლიკვიდატორის შერჩევისა და კომპენსაციის წესი და ლიკვიდატორის მიერ საქმიანობის განხორციელების წესები. ამ მუხლის შესაბამისად დანიშნული ლიკვიდატორი წარმოადგენს ფიდუციური ვალდებულების მქონე პირს. საზედამხედველო ორგანოს მიერ დანიშნულ ლიკვიდატორს ენიჭება საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ყველა სხვა მმართველი ორგანოს სრული უფლებამოსილებები. საზედამხედველო ორგანოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია საზედამხედველო ორგანოსა და მონაწილეების წინაშე.

გარდა საზედამხედველო ორგანოს მიერ საპენსიო კომპანიის ლიცენზიის გაუქმებისა და ლიკვიდაციის დაწყებისა, საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტოს საპენსიო კომპანიის ლიკვიდაცია, რა შემთხვევაშიც ამგვარი გადაწყვეტილება, რომელიც საპენსიო სქემ(ებ)ის ანგარიშგებასთან ერთად წარედგინება საზედამხედველო ორგანოს. თუ ანგარიშგების მიხედვით საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებული ლიკვიდური საპენსიო აქტივები საკმარისია საპენსიო სქემის/სქემების მონაწილეთა საპენსიო აქტივებზე უპირობო უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად, საპენსიო სქემის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა დაუყოვნებლივ გადაიტანონ საპენსიო აქტივები სხვა რეგისტრირებულ საპენსიო სქემაში. თუ საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებული ლიკვიდური აქტივები არ არის საკმარისი საპენსიო აქტივებზე მონაწილეთა უფლებების სრულად დასაკმაყოფილებლად სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია საზედამხედველო ორგანოს ანგარიშგებასთან ერთად წარუდგინოს ლიკვიდაციის შესახებ წინადადება, რომელსაც ამტკიცებს საზედამხედველო ორგანო. ლიკვიდაციის შესახებ წინადადება

ხელმისაწვდომი უნდა იყოს საპენსიო კომპანიის ფარგლებში არსებული საპენსიო სქემის/სქემების ყველა მონაწილისთვის. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წინამდებარე პუნქტის შესაბამისად წარდგენილი წინადადება ლიკვიდაციის შესახებ და ასეთ შემთხვევაში განსაზღვროს ლიკვიდატორის დანიშვნის აუცილებლობა ამ კანონპროექტის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და რეაბილიტაციისა და „კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გადახდისუუნარობისა და ლიკვიდაციის პროცედურები და წესები არ ვრცელდება საპენსიო კომპანიაზე. კანონპროექტის 44-ე მუხლი განსაზღრავს თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ლიკვიდაციის გეგმა და როგორ ხდება მისი დამტკიცება საზედამხედველო ორგანოს მიერ, ხოლო კანონპროექტის 45 მუხლი ადგენს ლიკვიდაციის დასრულების პროცედურას და სალიკვიდაციო ანგარიშის საზედამხედველო ორგანოსთვის წარდგენას.

კანონპროექტით გათვალისწინებულია საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებები (კანონპროექტის 46-ე მუხლი), რომელთა განხორციელების პრინციპს წარმოადგენს უფლებამოსილებების განხორციელება წინასწარი განჭვრეტის და რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე განხორციელებული ზედამხედველობა უზრუნველყოფს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის განვითარებას, დაცულობასა და სიძლიერეს. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-12 მუხლი განსაზღვრავს, რომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საზედამეხველო ორგანო თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საქართველოს ეროვნულ ბანკთან ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით. მსგავსი ჩანაწერი აისახა ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებშიც (კანონპროექტის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტი). აღნიშნული ჩანაწერები ემსახურება ეფექტური ზედამხედველობის განხოციელებას, იმდენად რამდენადაც აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი ექცევა ეროვნული ბანკის ზოგად ზედამხედველობაში, ხოლო ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ფარგლებში საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობაში, შესაბამისად კოორდინირება ზედამხედველებს შორის მნიშვნელოვანია ნებაყოფლობითი საპენსიო სისტემის გამართულად რეგულირებისათვის. ამასთან, კანონპროექტის 47-ე მუხლი ადგენს საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებას სანქციების დაკირებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა კანონპროექტის 49-ე მუხლით სპეციალიზებული დეპოზიტარის და აქტივების მმართველი კომპანიის დამატებითი რეგულირებისა და ზედამხედველობის მიზნით დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებს.

როგორც უკვე აღინიშნა კანონპროექტი ადგენს ფიდუციურ ვალდებულებებს, რომლებიც, მოიაზრებს, რომ ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი მოვალეობების შესრულებისას უნდა მოქმედებდს: კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად, გონივრულად,

ერთგულებითა და პროფესიონალურად; ბ)ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი, საღად მოაზროვნე პირი; გ)მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ყველა ქმედება მონაწილეთა და ბენეფიციართა საუკეთესო ინტერესებშია. 49-ე მუხლის 3-8 პუნქტები დეტალურად განსაზღვრავს თუ რა ითვლება ფიდუციური ვალდებულებების დარღვევას, რა შემთხვევაშიც მონაწილეს და ბენეფიციარს უფლება აქვს: ა)დააყენოს მოთხოვნა იმ საპენსიო აქტივებზე, რომლებზეც გააჩნია უპირობო უფლება სრული მოცულობით; ბ)დააყენოს მოთხოვნა გაწეული სამართლებრივი და სხვა სააღსრულებო ხარჯების, მათ შორის ადვოკატის გონივრული ჰონორარის ანაზღაურებაზე; გ)დააყენოს მოთხონვა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; და დ) დააყენოს ნებისმიერი სხვა მოთხოვნა კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონპროექტის 50-ე მუხლი არეგულირებს საპენსიო სქემებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის მექანიზმს, რაც გულისხმობს, რომ საპენსიო სქემის საპენსიო სქემის წესებმა უნდა განსაზღვროს აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მონაწილეთა და ბენეფიციართა საჩივრების განხილვის შიდა მექანიზმი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აქტივების მმართველი კომპანიისათვის, მზღვეველისათვის ან საპენსიო კომპანიისათვის მონაწილისა და ბენეფიციარის მიერ წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მონაწილე და ბენეფიციარი უფლებამოსილია ამგვარი გადაწყვეტილება გაასაჩივროს საზედამხედველო ორგანოში. შესაბამისად კანონპროექტის თანახმად მონაწილე/ბენეფიციარი უფლებამოსილია მიმართოს როგორც საპენსიო სქემის შიდა მექანიზმებს, ისე საზედამხედველო ორგანოს და სასამართლოს, მიუხედავად საზედამხედველო ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედებებისა.

კანონპროექტი მკაცრად არეგულირებს დამსაქმებლის მიერ შენატანების განუხორციელებლობის შემთხვევებს, რა შემთხვევაშიც მონაწილე ან ბენეფიციარი უფლებამოსილია დამსაქმებელს მოსთხოვოს: ვადაგადაცილებული შენატნების მთლიანი თანხის საპენსიო სქემაში შეტანა შესაბამისი პროცენტის ჩათვლით, სამართლებრივი და სხვა სააღსრულებო ხარჯების, მათ შორის ადვოკატის გონივრული ჰონორარის ანაზღაურება ან/და მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ნებისმიერი სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილება კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონპროექტის გარდამავალი და დასკვნითი დებულებები არეგულირებს არსებული საპენსიო სქემების მიმართ მოპყრობის წესებს (კანონპროექტის 52-ე მუხლი) და განსაზღვრავს, რომ ამ კანონის ძალაში შესვლის მომენტისთვის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას ვალდებულნი არიან თორმეტი (12) თვის ვადაში მიმართონ საზედამხედველო ორგანოს თავიანთი საქმიანობის კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. საზედამხედველო ორგანოსადმი მიმართვის შემდეგ იურიდიულ პირს უფლება აქვს, განაგრძოს ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება საზედამხედველო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ამოქმედებამდე. ამასან, ამ კანონის ძალაში შესვლის მომენტამდე არსებული ნებაყოფლობითი საპენსიო სქემები ამ კანონით დადგენილი წესით უნდა

დარეგისტრირდეს საზედამხედველო ორგანოში თორმეტი (12) თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი სქემის რეგისტრაცია ჩაითვლება გაუქმებულად.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებების 54-ე მუხლი ჩამოთვლის ყველა იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც კანონის ამოქმედებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს საზედამხედველო ორგანოს. ხოლო, 53-ე მუხლი აკონკრეტებს, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს თავის საფირმო სახელწოდებაში გამოიყენოს კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ტერმინები, თუ პირმა ეს საფირმო სახელწოდება ამ კანონის ამოქმედებამდე დაარეგისტრირა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის ძირითადი ნაწილი ძალაში შედის 2024 წლის პირველი იანვრიდან. 2023 წლის პირველი იანვრიდან კი საზედამხედველო ორგანოს ექნება 12 თვე რათა მოამზადოს და მოაქვეყნოს შესაბამისი ნორმატიული აქტები. ასევე დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, რათა მათ ჰქონდეთ საკმარისი დრო საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, განისაზღვრება, რომ ისინი ვალდებულნი არიან კანონპროექტთან შესაბამისობა უზრუნველყონ საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოქვეყენებული ნორმატიული აქტიდებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში. ამასთან, კანონპროექტით უკუძალა გათვალისწინებული არ არის.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიურირესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, საზედამხედველო ორგანოს მიერ პირზე სანქციის (ჯარიმის) დაკისრების შემთხვევაში. ამასთან, სანქციის ოდენობა განისაზღვრება საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესებით (რომლებიც კანონპროექტის მიღების შემდეგ შემუშავდება).

გარდა ამისა, შემოთავაზებული საკანონმდებლო პაკეტი განსაზღვრავს საპენსიო კომპანიის სალიცენზიო და ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელს. ლიცენსიისთვის 3000 ლარის, ხოლო საპენსიო სქემის რეგისტრაციისთვის 2000 ლარის ოდენობით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართება. ამასთან, იმ აქტივების მმართველ კომპანიებს და მზღვეველებს, რომლებიც სწორედ ნებაყოფლობითი საპენსიო საქმიანობის განსახორციელებლად გადაწყვეტენ შესაბამისად აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის ლიცენზიის აღებას, ასევე მოუწევთ აღნიშნული საქმიანობების სალიცენზიო მოსაკრებლების გადახდა კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართება.

რაც შეეხება კანონპროექტით გათვალისწინებულ ფინანსური ინსტიტუტების (მზღვეველის, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის) გაზრდილ ფუნქციებს და ვალდებულებებს ნებაყოფლობითი კერძო პენსიების კუთხით, აღნიშნული შესაძლოა დაკავშირებული იყოს მათთვის დამატებითი რესურსების (ფინანსური და ადამიანური რესურსები) საჭიროებასთან, შესაბამისად აღნიშნულ ფინანსურ ინსტიტუტებში ადამიანური რესურსების დამატებამ (რომლებიც ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელნი არიან) შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილი თანხების კუთხით. ამასთან, ფინანსური და ადამიანური რესურსების დამატება საჭირო იქნება კანონპროექტით გათვალისწინებულ ახალ სუბიექტში - საპენსიო კომპანიაში, რამაც ასევე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაოანსაგარეოვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე

გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება. ასეთი პირები არიან საპენსიო სქემების მონაწილეები, აქტივების მმართველ კომპანიები და მზღვეველები, სპეციალიზებულ დეპოზიტარები, საპენსიო კომპანიები, საზედამხედველო ორგანო და ეროვნული ბანკი.

მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთათვის დამატებითი საპენსიო მექანიზმის გაჩენა, რაც თავის მხრივ მოქალაქეთა იმ ნაწილისთვის, რომელიც ჩაერთვება ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებში უზრუნველყოფს დამატებითი გრძელვადიანი დანაზოგების შექმნას, რაც შედეგად აისახება გაზრდილ პენსიაში. მათ, დაგროვებით სავალდებულო პენსიასთან ერთად, დამატებით შეეძლებათ ნებაყოფლობით ჩაერთონ წინამდებარე კანონპროექტით განსაზღვრულ სქემებში და შესაბამისად მათი პენსია გაიზრდება. ნებაყოფლობოთი საპენსიო სქემის მონაწილეებზე ფინანსური შედეგები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (საპენსიო სქემების მონაწილეთა რაოდენობა, ნებაყოფლობითი სქემის ფარგლებში განხორციელებული შენატანების მოცულობა, საპენსიო აქტივების მართვა და მისი შედეგები, გრძელვადიან პერიოდში საინვესტიციო მოგება და აკუმულირებული თანხები და სხვა.), თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულს დადებითი შედეგი ექნება არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის გაზრდაზე. ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა გრძელვადიან პერიოდში დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, მით უფრო, რომ სამომავლოდ სახელმწიფოს ჩართვა სოციალურ უზრუნველყოფაში შესაძლოა შემცირდეს აღნიშნული სისტემისა და დაგროვებითი საპენსიო სისტემის წარმატების შემთხვევაში. მართალია, მონაწილეებს მოუწევთ საფასურის გადახდა მათი საპენსიო აქტივების მართვისა და ადმინისტრირებისათვის, თუმცა ეს მომსახურების ნაწილია და საბოლოო ჯამში ამის საპირწონედ ისინი მიიღებენ გაზრდილ პენსიასა და გრძელვადიან დანაზოგებს. ამასთან, საფასურის ოდენობები კერძო ურთიერთობების ნაწილს წარმოადგენს და ისეთ საპენსიო ბაზარზე რომელიც ფაქტობრივად განუვითარებელია, რთულია წინასწარ შეფასდეს დაახლოებით რა თანხებთან იქნება დაკავშირებული. თუმცა, საილუსტრაციოდ შეგვიძლია ავიღოთ საპენსიო სააგენტოს მომსახურების საკომისიოების განაკვეთი, რომელიც მათი მართვის ქვეშ მყოფი აქტივების 0.2 პროცენტიდან 0.5 პროცენტამდე მერყეობს. შესაბამისად, ნებაყოფლობითი კერძო პენსიის ფარგლებშიც აღნიშნული მოცულობა დამოკიდებული იქნება როგრც მხარეთა შორის შეთანხმებაზე, ისე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აქტივების მოცულობაზე, რომელიც იქნება აქტივების მმართველი კომპანიების, მზღვეველების და საპენსიო კომპანიების მართვისა და ადმინისტრირების ქვეშ.

გარდა მონაწილის ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდით გამოწვეული დადებითი შედეგებისა საქართველოს ეკონომიკაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირება ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, რომ ამგვარი თანხების ინვესტირება განხორციელდეს ადგილობრივ კაპიტალის

ბაზარზე (კომპანიებში და საქართველოში არსებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებში).

რაც შეეხება, საპენსიო სქემების დამფუძნებლებს და მათ მართვაში არსებულ პირებს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თითოეული შემთხვევა. დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების, დასაქმებულთა გაერთიანების და პროფესიული ორგანიზაციის მიერ დასაქმებულებისათვის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემებით უზრუნველყოფისას უნდა შეფასდეს ორი შემთხვევა: 1. მათ მიერ საპენსიო კომპანიის დაარსება და 2. მათ მიერ აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის დაქირავება. საპენსიო კომპანიის დაარსების შემთხვევაში ცხადია ჩამოთვლილი სუბიექტები ვალდებულნი არიან გასწიონ ხარჯები (კომპანიის დაარსების ხარჯი, სალიცენზიო და სარეგისტრაციო მოსაკრებლები, ადამიანური და ფინანსური რესურსები), ხარჯებთან ერთად საზედამხედველო ორგანო განსაზღვრავს მათთვის აუცილებელ კაპიტალის მოთხოვნას, რომელიც დამატებით ხარჯს წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული ხარჯები შესაძლოა კომპენსირებულ იქნას იმ შემოსავალით, რომელსაც ამგვარი საპენსიო კომპანია მიიღებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებისათვის. რაც შეეხება მათ მიერ აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის დაქირავებას აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს მათთვის ხარჯს, რომელიც დამოკიდებული იქნება აქტივების მმართველი კომპანიებისა და მზღვეველების მიერ მომსახურების საფასურზე..

ცალკე უნდა გამოიყოს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულების საპენსიო სქემებით უზრუნველყოფის შემთხვევა, რა შემთხვევაშიც დამსაქმებელი ასევე უნდა ახორციელებდეს შენატანებს. ასეთ შემთხვევაში, საპენსიო კომპანიის დაარსება თუ მზღვეველის/აქტივების მმართველი კომპანიის დაქირავება ზემოაღნიშნული პრინციპის ანალოგიურად წარმოადგენს ხარჯს დამსაქმებლისათვის, ხოლო რაც შეეხება დასაქმებულის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებს აღნიშნულიც გატარდება დამსაქმებლის მხრდან, როგორც ხარჯი.

რაც შეეხება მზღვეველებს, აქტივების მმართველ კომპანიებსა და სპეციალიზებულ დეპოზიტარებს, მათ ერთის მხრივ შესაძლოა დასჭირდეთ ხარჯების გაღება (ადამიანური და ფინანსური რესურსები), რომლებსაც ისინი გასწევენ ახალი საქმიანობის შესასრულებლად, თუმცა მეორეს მხრივ ისინი ამგვარი მომსახურების გაწევისათვის მიიღბენ შემოსავალს/მოგებას და ამ მომსახურებებს ისინი მხოლოდ საფასურის სანაცვლოდ ახორციელებენ რაც აღემატება აღნიშნულ ხარჯებს. ამასთან, კანონპროექტის თანახმად აქტივების მმართველი კომპანია და მზღვეველი უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ინდივიდუალური საპენსიო სქემების უზრუნველყოფა, რაც მართალია, როგორც აღინიშნა გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა ამგვარი საქმიანობა და ასეთი პროდუქტის გაყიდვა, რომლითაც შესაძლებელია რომ დაინტერესდეს ნებისმიერი პირი, მიუხედავად იმისა დასაქმებულია თუ არა ის, მათთვის წარმოადგენს დამატებით ბიზნეს საქმიანობას, რაც ცხადია გაზრდის მათ შემოსავალსა და მოგებას. აღნიშნული კი ცხადია დადებითად აისახება ეკონომიკაზე.

რაც შეეხება საპენსიო კომპანიას, მათ მოუწევთ საპენსიო კომპანიის ლიცენზიის აღება, რისთვისაც სალიცენზიო მოსაკრებლის თანხაა 3000 ლარი, რაც ერთჯერადად გადაიხდება, მათი შემოსავალი კი იქნება საპენსიო აქტივების მართვის საფასური (მოგება). ამასთან, როგორც საპენსიო კომპანიას, ისე მზღვეველებსა და აქტივების მმართველ კომპანიებს, საპენსიო სქემის რეგისტრაციისათვის მოუწევთ სარეგისტრაციო მოსაკრებელს 2000 ლარის ოდენობით გადახდა.

რაც შეეხება საზედამხედველო ორგანოს, მის მიერ კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და ფუნქციები განხორციელდება არსებული რესურსებით და შესაბამისად მათი მხრიდან არ მოითხოვება დამატებით რესურსების (ფინანსური და ადამიანური რესურსები) გამოყოფა. დამატებითი რესურსების გამოყოფა არც ეროვნულ ბანკს მოუწევს კანონპროექტით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტის მიხედვით, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია აქტივების მმართველ კომპანიებს, მზღვეველებს, საპენსიო კომპანიებს და მათ ორგანოებს დააკისროს ფულადი სანქცია (ჯარიმა). ამასთან, სანქციის ოდენობა განისაზღვრება საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესებით (რომლებიც კანონპროექტის მიღების შემდეგ შემუშავდება).

გარდა ამისა, შემოთავაზებული საკანონმდებლო პაკეტი განსაზღვრავს საპენსიო კომპანიის სალიცენზიო მოსაკრებელს 3000 ლარის ოდენობით და საპენსიო სქემის სარეგისტრაციო მოსაკრებელს 2000 ლარის ოდენობით, რომლებიც ასევე სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება: კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება გამომდინარეობს ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 122-ე და 323-ე მუხლებიდან, რომელთა თანახმად, „საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XV-A დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად“. ამავე დანართის B ნაწილით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს 2003 წლის 3 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/41/EC დირექტივას „პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ ხსენებული დირექტივა ძალადაკრგულია და ჩანაცვლებულია ახალი (EU) 2016/2341 (IORPs) დირექტივით, ხოლო ვინაიდან საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული აქვს დინამიური დაახლოების ვალდებულება, წარმოდგენილი კანონპროექტი მომზადებულია „საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ“ 2016 წლის 14 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/2341 (IORPs) დირექტივის ახალი რედაქციის შესაბამისად.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

„პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ“ 2016 წლის 14 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/2341 (IORPs) დირექტივა (ახალი რედაქცია), რომელიც აუქმებს 2003 წლის 3 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/41/EC დირექტივას „პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ“.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონის შემუშავების პროცესში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერას უწევდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაქირავებულ საერთაშორისო ექპერტთა ჯგუფი - ქალბატონი ლენა ზეზულინა (Lena Zezulin) და ნასირ ვაინდი (Nasir Whaind) და აგრეთვე ადგილობრივი ექსპერტი მარინა გულედანი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.